**მეგი ესებუა**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# ჭადრაკის მასწავლებლის მომზადების პრაქტიკის კვლევა

DOI: 10.52340/erp.2024.05.30

**აბსტრაქტი**

ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა სახელმწიფოს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომელიც საქართველოს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებშია გაწერილი და ამავე დროს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტორს განსახორციელებელი პროგრამების ერთ-ერთ მიზანსაც წარმოადგენს. ამ მიზნის შესრულებას კი სპორტული სექტორის გაძლიერებით იმედოვნებენ, ჩამოთვლილ სპორტულ სახეობათა შორის კი ჭადრაკის სწავლების პოპულარიზაციაც იგულისხმება.

ქართულ საგაკვეთილო საგანმანათლებლო სივრცეში 2009 წლამდე ჭადრაკის სწავლება, ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ხელმისაწვდომი მხოლოდ კერძო სკოლის მოსწავლეებითვის იყო, ჭადრაკის პედაგოგის შერჩევაც ზოგადსაგანმანათლებლო სოლის კერძო მოთხოვნების შესაბამისად ხდებოდა.

2022-2024 სასწავლო წლებში ჭადრაკის როგორც სასკოლო საგნის სწავლა/სწავლების ფორმა სამართლებრივ ჩარჩოებში ექცევა, იგი სავალდებულო საგანი გახდა I და II კლასის მოსწავლეებისთვის, გაჩნდა ჭადრაკის საგნობრივი სტანდარტი, მაგრამ მასწავლებლის დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტი, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა ჭადრაკის მასწავლებლის მომზადების პროგრამის გაწერა ხელმისაწვდომი არ არსებობს. იმ ფაქტის გათვალისწინებით რომ არ გვაქვს სკოლის მასწავლებლის მომზადების პროგრამები, სკოლის დირექტორების მიერ შერჩეულ ჭადრაკის მასწავლებლებს არ აქვთ საგნის სწავლების შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

ჩემი **თემის აქტუალობა** სწორედ ამ პრობლემიდან გამომდინარეობს, რომ მიუხედავად ეროვნული სასწავლო გეგმით გათალისწინებული სავალდებულო საგნისა, არ გვაქვს დოკუმენტი თუ რა დარგობრივ მახასიათებელს უნდა ფლობდეს ჭადრაკის მასწავლებელი, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა ისეთი სასწავლო პროგრამის შემუშავება, რომლის გავლის შემდეგაც მომავალი სკოლის ჭადრაკის

მასწავლებელი მიიღებს საგნის სწავლებისათვის აუცილებელ თეორიულ ცონდას, პრაქტიკულ უნარებსა და გაითავისებს იმ ღირებულებებს რომელზე დაყრდნობითან უნდა მოხდეს მოსწავლეთა სწავლა/სწავლების პროცესის დაგეგმვა/განხორციელება. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ჭადრაკი ეროვნული სასწავლო გეგმით გათალისწინებული სავალდებულო საგანია, მასწავლებელთა პროფესიული გამოცდის არ არსებობის გამო, სკოლის ჭადრაკის მასწავლელბლებს არ შეუძლიათ საგნიბრივი კომპეტენციის დადასტურებამ რის შემდეგაც მათ საშუალება ექნებოდათ ჩაბმულიყვნენ მასწავლებელთა სქემაში. ასევე, ჭადრაკის მასწავლებელის საგნობრივი კვალიფიკაციის დამადასტირებელი ტესტის არ არსეობის გამო, საკონით არ აქვთ შესაძლებლობა შეიმუშაონ თუნდაც ჭადრაკის მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამამ რომელიც სრულფასოვანი საშუალება იქნენობდა სკოლის ჭადრაკის მასწავლებლობის მსურველთა გადასამზადებლად.

**საკვანძო სიტყვები:** ჭადრაკი, ჭადრაკის სწავლება, ჭადრაკის მასწავლებლის მომზადების პროგრამა.

**შესავალი**

როგორც ავღნიშნეთ, ქართულ საგაკვეთილო საგანმანათლებლო სივრცეში 2009 წლამდე ჭადრაკის სწავლება, ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ხელმისაწვდომი მხოლოდ კერძო სკოლის მოსწავლეებითვის იყო, ჭადრაკის პედაგოგის შერჩევაც ზოგადსაგანმანათლებლო სოლის კერძო მოთხოვნების შესაბამისად ხდებოდა.

2009 წლიდან, ეროვნულ სასწავლო გეგმაში განხორციელებული ცვლილების შედეგად, არჩევითი საგნების ბლოკში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს საშუალება მიეცათ საგანი ჭადრაკი შეეთავაზებინათ საჯარო სკოლის საბაზო-საშაულო საფეხურის მოსწავლეებისათვის.

2012 წლის 15 მარტიდან ჭადრაკი მსოფლიოს განათლების სისტემის ნაწილი ხდება როგორც მოსწავლეებში ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარების ყველაზე მარტივი, იაფი და სწრაფი საშუალება. ჭადრაკის სწავლება გათვალისწინებულია ევროკავშირის 2012 წლის დეკლარაციით, რომელიც საგანმანათლებლო სისტემებში ჭადრაკის სწავლების დანერგვას

ითვალისწინებს. გარი კასპაროვის პროექტს -,,ჭადრაკი სკოლაში“, რომელიც სკოლებში ჭადრაკის სწავლების ოფიციალურად დანერგვას გულისხმობდა, ევროპარლამენტში მხარდაჭერა გამოუცხადეს და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საპილოტე პროექტად განხორციელება დაიგეგმა.

2015 წლიდან საქართველოს სკოლები ჩაერთვნენ ჭადრაკის ელექტრონული სწავლების პროგრამაში და თუ 2015 წლამდე ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჭადრაკის სწავლება სტიქიურ-ინდივიდუალურ ხასიათს ატარებდა, არ არსებობდა ჭადრაკის მასწავლებლის მომზადების პროგრამა და ჭადრაკის პედაგოგის მომზადება არ კონტროლირდებოდა სახელმწიფოს მიერ, 2015 წლიდან, მას შემდეგ, რაც ნებაყოფლობით, სახელმწიფო სკოლებში მოხდა კასპაროვის პროგრამით ჭადრაკის სასწავლო კურსების დანერგვა II და შემდეგ III კლასის მოსწავლეებში, ჭადრაკის სწავლება თითქოს სასწავლო პროგრამის ნაწილი გახდა, თუმცა მასწავლებლების შერჩევა ამ შემთხვევაშიც ქაოსურად მოხდა, სკოლის მხრიდან წარდგენილი ჭადრაკის სწავლების მსურველ მასწავებლებს ხშირ შემთხვევაში არ ჰქონდათ საჭირო თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, სასწავლო კურსი კი მხოლოდ სამ დღიან სწავლებას მოიცავდა და პროგრამით ტექნიკურ უზრუნველყოფაზე იყო გათვლილი. სამწუხაროდ საპილოტე პროგრამამ ტექნიკურად ვერ გაამართლა და სკოლები ისევ დაუბრუნდნე საკუთარი შეხედულებისამებრ ჭადრაკის სწავლებისა და ჭადრაკის პედაგოგების შერჩევის საკითხს.

2019 წელს კი საქართველოს მთავრობის ახალი ინიციატივის ,,განათლება - გზა თავისუფლებისკენ“ ფარგლებში, პრემიერის მამუკა ბახტაძის ინიციატივით, სკოლებში ჭადრაკის წრეების აღდგენა მასშტაბურ ხასიათს შეიძენს.

2022 წელს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინიციატივით, ეროვნულ სასწავლო გეგმაში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე, მათემატიკის საგნობრივ ჯგუფში ჭადრაკი სავალდებულო საგნად გამოცხადდა. 2022 -2023 სასწავლო წლიდან ყველა საჯარო სკოლის პირველი კლასელისთვის ჭადრაკის სწავლა სავალდებულო ხასიათის გახდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ცვლილება განხორციელდა ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაშიც, სადაც ჭადრაკის სწავლებასთან დაკავშირებით შემდეგი ჩანაწერი გაჩნდა,, მოსწავლეების ანალიტიკური, ლოგიკური და გადაწყვეტილების მიღების

უნარების განვითარების ხელშესაწყობად, სისტემური და სტრატეგიული აზროვნების გასაძლიერებლად, მათი ემოციურ-სოციალურ-კოგნიტური განვითარების, ასევე ევროპარლამენტის 2012 წლის ევროკავშირის საგანმანათლებლო სისტემებში პროგრამის – „ჭადრაკი სკოლაში“ – დანერგვის შესახებ დეკლარაციის გათვალისწინების მიზნით, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში სავალდებულო საგნად დაემატოს ჭადრაკი” ხოლო წარმატებული სტარტის შემდეგ, 2023-2024 სასწავლო წლიდან ჭადრაკის სწავლება სავალდებულო გახდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის II კლასის მოსწავლეებისთვისაც.

აღნიშნული პროგრამის განხორციელების ფარგლებში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, 4 000 მდე ჭადრაკის პედაგოგის გადამზადება მოხდა, ტრენინგის გავლის მსურველი პედაგოგების შერჩევა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორების მიერ ხდებოდა და მათ დიდ ნაწილს მათემატიკის პედაგოგები წარმოადგენდნენ, ტრენინგებს კი ჭადრაკის დიდოსტატები და დამსახურებული მწვრთნელები უძღვებოდნენ, ტრენინგის შინაარსი მოიცავდა საკითხებს თუ როგორ უნდა მომხდარიყო პედაგოგების მიერ მოსწავლებისათვის სწავლება.

ჩემი **თემის აქტუალობა** იმ პრობლემიდან გამომდინარეობს, რომ მიუხედავად ეროვნული სასწავლო გეგმით გათალისწინებული სავალდებულო საგნისა, არ გვაქვს დოკუმენტი თუ რა დარგობრივ მახასიათებელს უნდა ფლობდეს ჭადრაკის მასწავლებელი, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა ისეთი სასწავლო პროგრამის შემუშავება, რომლის გავლის შემდეგაც მომავალი სკოლის ჭადრაკის მასწავლებელი მიიღებს საგნის სწავლებისათვის აუცილებელ თეორიულ ცონდას, პრაქტიკულ უნარებსა და გაითავისებს იმ ღირებულებებს რომელზე დაყრდნობითან უნდა მოხდეს მოსწავლეთა სწავლა/სწავლების პროცესის დაგეგმვა/განხორციელება. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ჭადრაკი ეროვნული სასწავლო გეგმით გათალისწინებული სავალდებულო საგანია, მასწავლებელთა პროფესიული გამოცდის არ არსებობის გამო, სკოლის ჭადრაკის მასწავლელბლებს არ შეუძლიათ საგნიბრივი კომპეტენციის დადასტურებამ რის შემდეგაც მათ საშუალება ექნებოდათ ჩაბმულიყვნენ მასწავლებელთა სქემაში. ასევე, ჭადრაკის მასწავლებელის საგნობრივი კვალიფიკაციის დამადასტირებელი ტესტის არ არსეობის

გამო, საკონით არ აქვთ შესაძლებლობა შეიმუშაონ თუნდაც ჭადრაკის მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამამ რომელიც სრულფასოვანი საშუალება იქნენობდა სკოლის ჭადრაკის მასწავლებლობის მსურველთა გადასამზადებლად.

ჩვენი **კვლევის მიზანს** ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ჭადრაკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კვლევა/შემუშავება წარმოადგენს, ხოლო **კვლევის ამოცანებს:**

**1.მეორადი ინფორმაციის დამუშავება**

- ჭადრაკის სწავლების ისტორიული ექსკურსი;
- საკანონმდებლო ბაზის ანალიზი;
- რატომ ჭადრაკი? რა უნარებს ანვითარებს და როგორ?
- ჭადრაკის სწავლების კუთხით საქართველოში არსებული მდგომარეობის ანალიზი;
- ვინ და როგორ უნდა ასწავლოს ჭადრაკი ბავშვებს?
- საქართველოში ჭადრაკის პედაგოგის მომზადების არსებული პროგრამების კვლევა;
- საქართველოში სკოლის ჭადრაკის პედაგოგის კვალიფიკაციის შემოწმება;
- საზღვარგარეთ ჭადრაკის სწავლების მდგომარეობის განხილვა;
- საზღვარგარეთის ქვეყნების მაგალითზე ჭადრაკის მასწავლებლის მომზადების პროგრამების კვლევა;
- ჭადრაკის მასწავლებლის დარგობრივი მახასიათებლის შემუშავება;
- ჭადრაკის მასწავლებლის დარგობრივ მახასიათებელზე დაყრდნობით, ჭადრაკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება;

**2.კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება**

თვისებრივი კვლევა - (ჩაღრმავებული ინტერვიუ)

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენელთან;

ჭადრაკის ფედერაციისა და იმ უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან სადაც ხდება ჭადრაკის მწვრთნელის მომზადების პროგრამის განხორციელება;

**3.კვლევის შედეგების დამუშავება, დასკვნები და რეკომენდაციები**

- ჭადრაკის მასწავლებლის დარგობრივი მახასითებლის შემუშავება
- ჭადრაკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

**თემის სიახლე** - საქართველოს ჭადრაკის მასწავლებლის პროფესიული ვალდებულებების, ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების შესახებ კვლევა არ ჩატარებულა.

**კვლევის საგანი** - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ჭადრაკის მასწავლებლის მომზადების პროგრამა

**კვლევის ობიექტი** - ჭადრაკის მასწავლებლის მომზადების პროცესი.

ნაშრომის დასრულების შემდეგ **მოსალოდნელ შედეგი** და **ნაშრომის ღირებულება** შეიძლება დავყოთ როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ კომპონენტებად. შესაბამისად, ნაშრო ის თეორიულ ღირებულებას წარმოადგენს ჭადრაკის მასწავლებლის იმ დარგობრივი მახასითებლების შემუშავება, რომელიც საშუალებას მოგვცემს პრაქტიკულად შევიმუშაოთ სკოლის ჭადრაკის მასწავლებლის მომზადების პროგრამა.

**კვლევითი ნაწილი**

როგროც ნაშრომის დასაწყისში ავღნიშნეთ, ჩვენი კვლევის **კვლევის მიზანს** ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ჭადრაკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კვლევა/შემუშავება წარმოადგენს. კვლევის საგანს კი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ჭადრაკის მასწავლებლის მომზადების პროგრამაა.

კვლევის ჩასატარებლად თვისებრივი კვლევის მეთოდით - ჩაღრმავებული ინტერვიუს დახმარებით გავესაუბრებით:

- განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენელს;
- ჭადრაკის ფედერაციისა და იმ უნივერსიტეტების წარმომადგენლებს სადაც ხდება ჭადრაკის მწვრთნელის მომზადების პროგრამის განხორციელება;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელს, სადაც ტრენინგის სახით ხდება პედაგოგების გადამზადება.

კვლევის ჩატარების შემდეგ, მოვახდენთ კვლევის შედეგების დამუშავებას, დასკვნების გამოტანას და გაგიზიარებთ საკითხის გადაჭრის მიზნით ჩვენს მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს.

საქართველოს კანონში ზოგადი განათლების შესახებ ასეთ ჩანაწერს ვნახულობთ :,,სკოლებს სავალდებულოდ ჭადრაკის სწავლება მოეთხოვებათ თუ მათ ჰყავთ შესაბამისად მომზადებული კადრი“.

https://matsne.gov.ge/ka/document/view/5467507?publication=0&fbclid=IwY2xjawEQQw9leHRuA2FlbQIxMAABHeT4uQSSt60N52mziB-OOgH9lXInLR2Hhuft4kjv1zJSuzp6xpCmMXhdbA_aem_qsxZOki0XjVNGiiBiJKBXA

აქვე საინტერესოა, უშუალოდ რა მოთხოვნებს უყენებს სკოლა ჭადრაკის სწავლებით დაინტერესებულ პირს. ამ კუთხით, შემთხვევითი შერჩევის პრინციპის გათვალისიწნებით, ჩვენ გავეცანით მასწაველბელთა დასაქმების ოფიციალურ საიტზე საჯარო და კერძო, როგორც თბილისის ასევე რეგიონის სკოლების მიერ შემოთავაზეულ ვაკანსიებს. შემოთავაზებული ვაკანსიების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ჭადრაკის სწავავლებით დაინტერესებულ პირს ვერ ექნება გავლილი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა და ვერ ექნება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია, რადგან ჭადრაკის მიმართლებით არ არსებობს ჭადრაკის მასწავლებლისთვის შესაძლებლობა რომ მან გაიაროს მასწავლებლის მომზადების საგნობრივი პროგრამა ან დაადასტუროს კომპეტენცია. ასევე, მას ვერ ექნება დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია და შესაბამისად ვერ იქნება ჩართული მასწავლებელთა პროფეისული განვითერების სქემაში, რადგან, არც ამ კუთხით ჭადრაკის მასწავლებლებისათვის შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ არ არის ორგანიზებული კომპეტენციის დამადასტურებელი გამოცდა. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სასაეავლო გეგმით სავალდებულო საგნად აღაირებული ჭადრაკი ახალი რედაქციით რვავე საგნობრივ ჯგუფშია შესული, მისი სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე, ნებისმიერი საგნის მასწავლებლისთვის სათანადო მომზადების გარეშე შეუძლებელია აღნიშნულ საგანში სწავლა-სწავლების პროცესის განხორციელება. ამიტომ მივიჩნევთ მიზანშეწონილად, რომ მასწავლებლის დარგობრივ დოკუმენტზე დაყრდნობით, მსგავსად სხვა საგნობრივი ჯგუფის საგნებისა (მაგ: ქართული, დაწყებითი კლასის მასწავლებლის დარგობრივი სტანდარტი) შემუშავდეს ცალკე ჭადრაკის მასწავლებლის დარგობრივი მახასიათებლები, რომელიც საფუძველი იქნება ჭადრაკის მასაწვლებლის დარგობრივი სტანდარტის შემუშავებისა, რაც შემდგომში საშუალებას მოგვცემს შევიმუშაოვოთ ჭადრაკსი მასწაველბლის მომზადების ერთ წლიანი (60 კრედიტიანი ) პროგრამა, რომელზე სწავლის წინაპირობაც მასწავლებილს კომპეტენციის დადასტურებაა, მასწავლებლის კომპეტენციის დამადასტურებელი ტესტის შესადგენადაც, შეფასებისა და

გამოცდების ეროვნული ცენტრისთის ჭადრაკის მასწავლებლის დარგობრივი სტანდარტი ერთ-ერთი მთავარი დოკუმენტი იქნება. რაც, ჭადრაკის მასწავლებლებისათის საშუალება იქნება გარდა საგნობრივი უნარ-ჩვევების გაღრმავებისა, შეძლოს კვალიფიკაციის დადასტურება და პროფესიული განვითარების სქემაში ჩართვა და საკუთარი პროფესიული განვითარების კანონმდებლობის შესაბამისად დაგეგმვა.

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების ფონზე კიდევ უფრო გამოიკვეთა საკვლევი საკითხის სიმწვავე. სკოლებში ჭადრაკის სწავლა-სწავლების პროცესს სამი ინსტიტუცია ახორციელებს: საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი და საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია. სამინისტრო თავის მხრივ პროცესის წარმართვაში დამკვეთის როლს ასრულებს და ძირითადი პროცესი მთლიანად დელეგირებულია მასწავლებელთა პროფეისული განვითარების ეროვნულ ცენტრსა და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას შორის. აქვე, ყველაზე მთავარ პროცესში თუ ვის მიერ მოხდება მოსწავლეებისათვის ცოდნის გადაცემა, ერთპიროვნულად, საკუთარი შეხედულებისამებრ არჩევანის საშუალება ეძლევა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დირექტორებს, რომლებიც შემდგომ მათ მიერ შერჩეულ კანდიდატს წარუდგენს მასწავლებელთა პროფესიული განვიათების ეროვნულ ცენტრს ერთ კვირიან ტრენინგ კურსზე დასასწრებლად, სადაც მხოლოდ ჭადრაკის მასწავლებლობის სურვილიც კი საკმარისი რომ 16 საათიანი საკონტაქტი სემინარის შემდეგ, დაინტერესებულმა პირმა შეძლოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სავალდებულო საგნის - ჭადრაკის სწავლება I და II კლასის მოსწავლეებისთვის.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითერების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგ-კურსი ერთადერთია ჭადრაკის სწავლების მსურველთათვის, რომელიც საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირებს ჭადრაკის სწავლების კუთხით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში დასასაქმებლად. სხვა მხრივ კანონის შესაბამისად, ჭადრაკის მასწავლებლობის მსურველ პირს ევალება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიბებული გამოცდით კომპეტენციიის დადასტურება, და მასწავლების მომზადების 1 წლიანი

პროგრამის გავლა, რისი საშუალებაც სამწუხაროდ ჭადრაკის სწავლების მსურველ პედაგოგს არ აქვს, რადგან არ არსებობს არც საგნის მიმართლებით სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული გამოცდა და არც მასაწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა. შესაბამისად, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნის სწავლების მსურველ პედაგოგს, მოღვაწეობის მანძლზე უხდება უსტატუსოდ საგნის სწავლება, შესაბამისად შეფერხებულია მისი კარიერული წინსვლაც.

**რეკომენდაციები**

სადისერტაციო თემის საკვლევი ნაწილიდან მთავარ პრობლემებად გამოხატა, რომ ეროვნული სასაწავლო გეგმით გათვალსიიწნებული საგნის - ჭადრაკის მასწავლებლის შერჩევა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სტიქიურ-ინდივიდუალურ ხასიათს ატარებს, სკოლის დირექტორები თავად არჩევენ პედაგოგებს საკუთარი კრიტერიუმების გათალსიწინებით რის შემდეგაც, მხოლოდ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ კონკრეტული სახელმძღვანელოს ჩარჩოში მოქცეული 16 საათაინი საკონტაქტო კურსის გავლის შემდეგ არის შესაძლებელი დაინტერესებულმა პირმა I და II კლასის მოსწავლეებს ასწავლო საგანი.

როგორ ავღნიშნეთ, საკითხიდან გამოსავლად მიგვაჩნი სახელმწიფოს მხრიდან ორი მიმართულებით ცვლილების ინიცირება:

- ჭადრაკის მასწავლებლის დარგობრივი მახასითებლის შემუშავება, რაც საშუალებას მოგვცემს შევიმუშაოთ
- ჭადრაკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

ასევე, ჩატარებული კვლევიდან გამომდინარე, ვფიქრობ საქართველოს განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას შორის კორელაციის შედეგად ჭადრაკის მასწავლებლობის მსურველ პედაგოგებს უნდა ჰქონდეთ საშაულება დადასტურონ თავიანთი კომპეტენცია და იზრუნონ საკუთარ პროფესიულ წინსვლაზე. ამ საკითხის ერთ-ერთ გადაჭრის გზად პირველ ეტაპზე გვესახება საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მიერ ორგანიზებული მწვრთნელთა გამოცდის შედეგების აღიარება სახელმწიფოს მიერ, რათა დაინტერესებულ პირებს საშუალება მიეცეთ თნდაც მასწავლებლის მოზადების 60

კრედიტიან პროგრამაზე სწავლსი გასაგრძელებლად, თავისთავად, მასწავებლელთა საგნობრივი გამოცდის აღიარება უნივერისტეტებისთვის საფუძველი იქნება ჭადრაკსი მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამის განსახორციელებლად, რაც თავისთავად პროფესიონალი სავალდებულო საგნის - ჭადრაკის მასწავლებლების მომზადების შესაძლებლობაა.


**გამოყენებული ლიტერატურა:**

**https://matsne.gov.ge/ka/document/view/6193624?publication=0**
https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=105
https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=105
https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=105
https://matsne.gov.ge/ka/document/view/5467507?publication=0&fbclid=IwY2xjawEQQw9leHRuA2FlbQIxMAABHeT4uQSSt60N52mziB-OOgH9lXInLR2Hhuft4kjv1zJSuzp6xpCmMXhdbA_aem_qsxZOki0XjVNGiiBiJKBXA
https://matsne.gov.ge/ka/document/view/5969264?publication=0
http://www.europechess.org/chess-camp-in-madrid-30th-june-2nd-july//
https://www.europechess.org/judit-polgar-designs-chess-educational-program-in-china/?print=print
https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=105
https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=105
https://matsne.gov.ge/ka/document/view/5467507?publication=0&fbclid=IwY2xjawEQQw9leHRuA2FlbQIxMAABHeT4uQSSt60N52mziB-OOgH9lXInLR2Hhuft4kjv1zJSuzp6xpCmMXhdbA_aem_qsxZOki0XjVNGiiBiJKBXA



**Meggy Esebua**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University


## A study of chess teacher training practices

### Abstract


Introducing a healthy lifestyle is one of the priorities of the state, which is written in the national goals of general education of Georgia, and at the same time, it is one of the goals of the programs to be implemented by the Minister of Sports and Youth Affairs. They hope to achieve this goal by strengthening the sports sector, and the promotion of chess teaching is also meant among the listed sports. Until 2009, in the Georgian educational space, chess teaching was available only to students of private schools, depending on the market requirements, and the selection of chess teachers was made in accordance with the private requirements of the general educational sector.

In the 2022-2024 academic years, the form of learning/teaching chess as a school subject falls within the legal framework, it became a mandatory subject for students of I and II grades, the subject standard of chess appeared, but the document of the teacher's sectoral characteristics, On the basis of which it would be possible to prescribe a chess teacher training program, there is no one available. Given the fact that we do not have school teacher training programs, the chess teachers selected by the school principals do not have the subject Theoretical and practical skills relevant to teaching.

The relevance of my topic stems from this problem, that despite the mandatory subject taken into account by the national curriculum, we do not have a document on what field characteristics it should possess. A chess teacher, on the basis of which it would be possible to develop such a training program, after passing which the future school chess teacher will receive the theoretical knowledge, practical skills necessary for teaching the subject and grasp the values that The planning/implementation of students' learning/teaching process should be based on this. Also, despite the fact that chess is a compulsory subject in accordance with the national curriculum, due to the lack of a professional exam for teachers, the school's chess teachers They cannot prove subject competence after which they would be able to join the teacher scheme. Also, due to the lack of a test confirming the subject qualification of a chess teacher, they do not have the opportunity to develop even a chess teacher. The 60-credit teacher training program, which would be a full-fledged tool for the training of those who wish to become a school chess teacher.

**Keywords:** chess, chess teaching, chess teacher training program.